პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 3 სექტემბერი, 1943 წ. № 185 (6810). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ვაჯუჯინს

ვორონეჟის ფრონტის ჯარებმა დღეს, 2 სექტემბერს, ბრძოლით დაიკავეს უკრაინის მნიშვნელოვანი საოლქო ცენტრი—ქალაქი სუმი.

გერმანელ დამპყრობთაგან ქალაქ სუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ჩიბისოვის ჯარებმა და განსაკუთრებით პოლკოვნიკ ზუბარევის 340-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ მელნიკოვის 167-ე მსროლელმა დივიზიამ და გენერალ-მაიორ ულიტინის 232-ე მსროლელმა დივიზიამ.

მოწყეულ წარმატებათა აღსანიშნავად 340-ე, 167-ე და 232-ე მსროლელ დივიზიებს მიენიჭოთ „სუმის“ სახელწოდება და ამიერიდან ისინი იწოდებოდნენ:

სუმის 340-ე მსროლელი დივიზია,

სუმის 167-ე მსროლელი დივიზია,

სუმის 232-ე მსროლელი დივიზია.

დღეს, 2 სექტემბერს, 20 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს მამაც ჯარებს, რომლებმაც ქალაქი სუმი გაათავისუფლეს.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისა და მამაცობისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ სუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

სიკვდილი გერმანელ დამპყრობთ.

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წ. 2 სექტემბერი.

წითელი არმიის სახელოვან გამარჯვებებს ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხებენ

სამამულო ომის ფრონტებიდან ყოველდღე ახალ-ახალი სასიხარულო ცნობები მოდის. შემტევი წითელი არმია ერთიმეორეზე ათავისუფლებს ოკუპაციის ბრკყალებიდან ჩვენს მშობლიურ ქალაქებსა და სოფლებს და ბეჯითად სწმენდს დროებით ოკუპირებულ საბჭოთა მიწა-წყალს ჰიტლერული სიბილწისაგან.

ორიოლი... ბელგოროდი... ხარკოვი... ტაგანროგი... ელნია... სევსკი... გლუხოვი... რილსკი... სუმი...

ამ მოკლე ხანში მოხდა ამ ჩვენი მშობლიური ქალაქების განთავისუფლება ფაშისტური ტყვეობისაგან, რომელშიც ისინი 22 თვეს იმყოფებოდნენ.

საქართველოს მშრომელები აღფრთოვანებით ხვდებიან გმირი წითელი არმიის წინსვლას. ქალაქებსა და სოფლებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე—ყველგან განსაკუთრებული გაცხოველებაა, განსაკუთრებული სიხარულით არის აღვსილი ყოველი პატიოსანი მშრომელის გული. ეს დღეები ნამდვილი საზეიმო დღეები გახდა.

მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია უმაღლესი მთავარსარდლის დიდი სტალინის ბრძანებებს შრომითი აღმავლობით, სტახანოვური საქმეებით, ფაბრიკა-ქარხნებში და საკოლმეურნეო მინდვრებზე საწარმოო დავალებათა ორმაგად და სამმაგად შესრულებით უპასუხებენ, კისრულობენ ახალ-ახალ ვალდებულებებს ფრონტისათვის დახმარების გაძლიერებლად.

ქარხანაში, სადაც დირექტორია ამხ. ვ. სალაძე, ტაგანროგის აღების აღსანიშნავად ხარატმა ამხ. სიდელკოვმა, ზეინკლებმა ამხ. ლოკოტკოვმა და სუხარევმა ცვლის დავალებანი 600 პროცენტით შესრულეს. მთლიანად ქარხანამ კი ეს დღე თვიური გეგმის შესრულებით აღნიშნა.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველებმა ამხ. ჯლანტიაშვილმა, ავეტისოვმა და სხვ. აღიღეს ვალდებულება ვადამდე შეასრულონ თვიური დავალება.

თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა ვალდებულება აიღო ორმეოცდაერთალის გეგმა 109 პროცენტით შეასრულოს.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივის მიტინგზე ნ. ზ. ზნერბარე, აღფრთოვანებული სტყვები წარმოსთქვეს დოც. ი. ბაჯაძემ, პროფ. ჰ. აზატიანმა, დოც. ს. სიმონგულოვმა. მათ ქება-დიდებით შეამკეს გმირი წითელი არმიის ძალა და უძლეველობა, მისი საბრძოლო იარაღი.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში მეცნიერ მუშაკები პირობას იძლევიან გაძლიერონ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, მთელი ძალ-ღონე მოახმარონ სამშობლოს კეთილდღეობას, წერმანელ დამპყრობთა საბოლოო განადგურებას.

ხელოვნების მუშაკთა საერთო სულისკვეთება გამოხატა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივის მიტინგზე რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ბ. კობახიძემ, რომელმაც განაცხადა:

— საბჭოთა ჯარების წარმატებითს შეტევას ჩვენ, სათეატრო ხელოვნების მუშაკები, იმით ვუპასუხებთ, რომ კიდევ უფრო მაღალ დონეზე ავიყვანთ შემოქმედებითს მუშაობას.

საწარმოო ენტუზიაზმის სულ ახალი და ახალი აზვირთებით, ახალი შრომითი მამაცობით უპასუხებენ ზურგის მებრძოლები ხარკოვის, ტაგანროგის, ელნიას, გლუხოვის, რილსკის, სუმის განმათავისუფლებლებს, აძლიერებენ დახმარებას ფრონტისადმი, წითელი არმიისადმი, რომელიც ამსტვრევს ჰიტლერელთა წინააღმდეგობას.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
2 სექტემბრის ოპერაციული ცნობა

ვორონეჟის ფრონტის ჯარებმა 2 სექტემბერს დაიკავეს უკრაინის მნიშვნელოვანი საოლქო ცენტრი — ქალაქი სუმი.

ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ბრიანსკის სამხრეთით უტევენ, დაიკავეს 130-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათს რიცხვში დაიკავეს ქალაქი კროლევეცი, სუმის ოლქის რაიონული ცენტრი იამპოლი, კურსკის ოლქის რაიონული ცენტრი გლუშკოვო. ამგვარად, კურსკის ოლქი სავსებით განთავისუფლებულია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან.

დონბასში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის წარმატებით განვითარებას და დაიკავეს ქალაქი ლისიჩანსკი, ქალაქი ვოროშილოვსკი, ქალაქი ჩისტიაკოვო, ქალაქი ნოვი დონბასი, რაიონული ცენტრი სლავიანოსერბსკი და დიდი დასახლებული პუნქტები ნიჟნეე, ჩერკასკოე, როდაკოვო, პეტროვო-კრასნოსელიე, კრასნი კუტი.

ჯარებმა, რომლებიც აზოვის ზღვის სანაპიროს გასწვრივ უტევენ, დაიკავეს ქალაქი ბუდიონოვსკი.

სმოლენსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას და, წაიწიეს რა წინ ცალკეულ უბნებზე 6-დან 10 კილომეტრამდე, 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

ხარკოვის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში ჩვენმა ჯარებმა, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობასა და კონტრიერიშებს, რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

1 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 108 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მტრის 51 თვითმფრინავი.

* * *

ვორონეჟის ფრონტის ჯარებმა მტერთან ბრძოლების შედეგად დღეს დაიკავეს ქალაქი სუმი. უკრაინის რესპუბლიკის მნიშვნელოვანი საოლქო ცენტრი განთავისუფლებულია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან.

ხარკოვის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, სძლევდნენ რა გერმანელების შეუპოვარ წინააღმდეგობას, წინ წაიწიეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ერთ-ერთი ამ პუნქტისათვის ბრძოლაში გაეღებლია 600-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანებულია მტრის 12 ტანკი და მოსპობილია 10 ქვემეხი. სხვა უბანზე მოწინააღმდეგემ კონტრიერიშზე გადმოიყვანა 20 ტანკი და 1 ბატალიონი ქვეითი ჯარი. საბჭოთა არტილერისტები მტერს მძლავრი ცეცხლით შეხვდნენ, მოსპეს 9 ტანკი და 200-ზე მეტი ჰიტლერელი. გერმანელები იძულებულნი იყვნენ სასწრაფოდ დაეხიათ უკან.

ხარკოვის სამხრეთით 6 ნაწილის მებრძოლებმა გადამწყვეტი იერიშით მტერი განდევნეს ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტიდან, ამასთან მოსპეს 10 ტანკი და რამდენიმე ასეული ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ გერმანელთა მძიმე ტანკი „ვეფხვი“, 5 ქვემეხი და სხვა დავლა.

* * *

ბრიანსკის სამხრეთით ჩვენი ჯარები გააგრძობდნენ წარმატებით შეტევას. ბრძოლების ერთი დღის განმავლობაში ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს 130-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათს რიცხვში ქალაქი და რკინიგზის სადგური კროლევეცი, რაიონული ცენტრი და რკინიგზის სადგური იამპოლი, რაიონული ცენტრი გლუშკოვო.

სევსკის ჩრდილოეთით და დასავლეთით 6 შენაერთის ნაწილებმა მოიგერიეს მტრის კონტრიერიშები და მოსპეს 1.200 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ბრძოლების ორი დღის განმავლობაში ამ უბანზე ხელთ ვიგდეთ 24 ქვემეხი, კავშირგაბმლობის ქონების საწყობი, საომარი მასალის 8 საწყობი, სურსათის 2 საწყობი და სხვა დავლა. წამოყენებულია 100-ზე მეტი ტყვე.

სევსკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წინსვლას ბრძოლებით. საბჭოთა ნაწილები განუწყვეტლად ურტყამენ მტრის შეფერთხილ დივიზიებს და საშუალებას არ აძლევენ მათ გაექცნენ დევნას და მოაწყონ თავდაცვა. 6 შენაერთის მებრძოლებმა გასწყვიტეს 2.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს მტრის 11 ტანკი, 16 ქვემეხი და 96 ავტომანქანა. ხელთ ვიგდეთ დიდძალი დავლა და ტყვეები.

* * *

დონბასში ჩვენმა ჯარებმა შეტევა განავითარეს და დაიკავეს ქალაქი ლისიჩანსკი, ქალაქი ვოროშილოვსკი, ქალაქი ჩისტიაკოვო, ქალაქი ნოვი დონბასი, რაიონული ცენტრი სლავიანოსერბსკი და მთელი რიგი დიდი დასახლებული პუნქტები.

ათავისუფლებენ რა დონბასის ქალაქებსა და შახტებს, ჩვენი ჯარები თავდადებით ურტყამენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთ. გაარღვიეს რა მტრის თავდაცვა, 5 შენაერთის ნაწილები სწრაფად მიიწევდნენ წინ და გერმანელები განდევნეს მთელი რიგი ძლიერ მხიშვნელოვანი პუნქტებიდან, რომელთაც ისინი შეუპოვრად იცავდნენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. საბჭოთა არტილერიის ცეცხლით დანგრეულია მტრის მრავალი ძელმიწური საცეცხლე წერტილი და სხვა თავდაცვითი ნაგებობანი. გერმანელთა ჯარებს მძიმე ზარალი მოსდით ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. წამოღებულია დიდი დავლა.

აზოვის ზღვის სანაპიროზე 5 ნაწილმა, სდევნიდა რა მტერს, გასწვიტა 600 ჰიტლერელი და ხელთ იგდო 9 ქვემეხი, 64 ტყვიამფრქვეევი, 40 ავტომანქანა და სხვა დავლა.

* * *

ბარანოვიჩის ოლქში მოქმედი რამდენიმე პარტიზანული რაზმი ერთი თვის განმავლობაში გაათრიეს ბრძოლებს ეწეოდა მტრთან. გერმანელებმა პარტიზანთა წინააღმდეგ გამოიყვანეს დიდძალი ქვეითი ჯარი. საბჭოთა პატრიოტებმა, უიცრად ურტყამდნენ რა მტერს, დაზოცეს და დასჭრეს 2.000-მდე ჰიტლერელი. მოსპობილია გერმანელთა 2 ტანკი, 2 ჯავშნიანი მანქანა, 60 სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანა. ამავე ხნის განმავლობაში ბარანოვიჩელმა პარტიზანებმა ლიანდაგიდან ვადაადგეს გერმანელთა 37 სამხედრო ეშელონი.

* * *

ამ დღეებში წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა 6 ჯარისკაცი, რომლებიც გერმანელთა 56-ე ქვეითის დივიზიაში მსახურობდნენ. ყველა გადმოსული ფრანგია, ელზასის მკვიდრი. მარსელ ლ-მ ეინ 6-მ განაცხადეს: „იანვარში გერმანელმა სამხედრო ხელისუფლებმა ფრანგი ახალგაზრდობა სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. მობილიზაციას მოსალოდნელმა გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწია. ათასობით ახალგაზრდამ თავი აარიდა გაწვევას და დაიმალა. გერმანელები სასტიკი ღონისძიებებით ცდილობდნენ გაეტეხათ ელზასელების წინააღმდეგობა. ბევრი მცხოვრები დაპატიმრებულია. გერმანელმა ოკუპანტებმა საკონცენტრაციო ბანაკში წაიყვანეს სოფელ ჰაგენტალის მცხოვრებთა ნახევარზე მეტი. სოფელ ბალერსდორფში ჰიტლერელებმა დახვრიტეს ორი ძმა ვისტი, რომლებმაც უარი თქვეს გერმანიის არმიაში სამსახურზე. სოფელ სენტ ლუდვიგში მიულჰაუზერის მახლობლად გერმანელებმა დაატყვევეს გლეხ ჰენიგის ოჯახი იმისათვის, რომ მისი ვაჟი მობილიზაციას გაექცა და შვეიცარიაში გადაიყარა. მიუხედავად სასტიკი ტერორისა, მოსახლეობა არ დაემორჩილა გერმანელებს. ელზასის ქალაქებსა და სოფლებში ყრუ ბრძოლა სწარმოებს სატელეფონო გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ. პატრიოტთა ჯგუფები აფეთქებენ რკინიგზის ნაგებობებს, ცეცხლს უკიდებენ სამხედრო საწყობებს, ხოცავენ გერმანელ ჯარისკაცებს, ოფიცრებსა და გესტაპოელებს. რუსეთში ჩვენ მოვდიოდით მტკიცე განწრახვით პირველი შესაძლებლობისთანავე წითელი არმიის მხარეზე გადმოვსულიყავით. ფრონტზე სულ რამდენიმე დღეს დავყავით და რუსეთის მხარეზე გადმოვედით. რა ბედნიერება, რომ მოვახერხეთ თავი დაგვეღწია გერმანიის არმიაში სამსახურისათვის! ახლა ჩვენ მზად ვართ ყოველ წუთს იარაღით ვიბრძოლოთ გერმანელების წინააღმდეგ“.

ᲓᲝᲠᲝᲒᲝᲑᲣᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲐ!

სმოლენსკის მიმართულება, 1 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). დღეს დილით, განაგრძობდნენ რა შეტევის განვითარებას სმოლენსკის მიმართულებით, ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს დოროგობუჟი.

დოროგობუჟი ძველის-ძველი რუსული ქალაქია, რომელიც დნეპრის სათავეებში მდებარეობს. გერმანელთა ოკუპაციის განმავლობაში მან დიდი განსაცდელი გაიარა.

დოროგობუჟელები მტრის ღრმა ზურგში ულმობელ ბრძოლას ეწეოდნენ ოკუპანტების წინააღმდეგ. ჰიტლერელებს მთელი ქვეითი და სატანკო დივიზიები დამოჭყავდათ დოროგობუჟელ პარტიზანთა წინააღმდეგ, მაგრამ სახალხო შურისმგებლები უნაოიანად იგერიებდნენ მტრის იერიშს და დიდ ზარალს აყენებდნენ მას. პარტიზანები სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ ქალაქს. ბოლოს, დოროგობუჟი პარტიზანულ ქალაქად იქცა. მთელი რაიონი საკმაოდ მნიშვნელოვანი ხნის განმავლობაში სახალხო შურისმგებელთა ხელში იყო. მაგრამ შეუპოვარი ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ გერმანელებმა კვლავ დაიკავეს ქალაქი. ქალაქის დაკავებისთანავე ჰიტლერელები შეუდგნენ მის გაოშმო ძლიერი თავდაცვითი ზღუდეების შექმნას. მთელი რაიონიდან შეგროვებული მოსახლეობა აქ დღე-ღამეში 14 საათს მუშაობდა. ქალაქი განსაკუთრებით ძლიერ იყო დაცული აღმოსავლეთის მხრიდან, სადაც, მთლიან სანგრებს გარდა, გერმანელებმა დიდი სიმაგრეები ააგეს. ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ამოთხრილი იყო ტანკსაწინააღმდეგო ორმოები და ესკარპები. გერმანელთა სარდლობამ ყოველი ლონე იხმარა იმისათვის, რომ დოროგობუჟის პლაცდარმი შეენარჩუნებინა.

31 აგვისტოს საბჭოთა ნაწილებმა ძლიერი საარტილერიო ცეცხლის დახმარებით გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა და სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან შემოუარეს დოროგობუჟს. ღამის ორ საათზე ერთი ჩვენი ქვეგანაყოფი დოროგობუჟის სამხრეთ-აღმოსავლეთ გარეუბანში შეიჭრა. დილის ოთხ საათზე სხვა ქვეგანაყოფი აგრეთვე შეიჭრა ქალაქის გარეუბანში და გააფთრებით უშენდა ფაშისტებს. მტერმა მაშველი ძალები მოიყვანა და დილით თავს იცავდა, მაგრამ საბჭოთა მეომრები ერეკებოდნენ მას დნეპრისაკენ, რომელიც ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს. 1 სექტემბერს დილის 10 საათზე ქალაქის სამხრეთი ნაწილი ჩვენს ხელში იყო.

დოროგობუჟის ჩრდილოეთ ნაწილში, ძელმიწური საცეცხლე წერტილად გადაქცეულ სახლებში გერმანელი მეავტომატეები გამაგრდნენ. ისინი სასტიკ წინააღმდეგობას ეწეოდნენ. ყოველ შენობას სასტიკი შეტევებით ვიპყრობდით. 13 საათისათვის ქალაქის ეს ნაწილიც სავსებით გაწმენდილ იქნა მტრისაგან. დოროგობუჟი საბჭოთა ქალაქი გახდა.

ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚ ᲔᲚᲜᲘᲐᲨᲘ

ელნიასაკენ მიმავალი გზით მიდიან ჩვენი ჯარები, დაუსრულებელ ნაკადად მიედინებიან ავტომანქანები, ტანკები, ყველა ყალიბის ზარბაზნები. მათ შესახვედრად მოდიან საბჭოთა ადამიანები, რომლებიც წინ გაჭრილმა ტანკისტებმა გაათავისუფლეს. გზაში ამაღელვებელი შეხვედრები ხდება.

გუტსკელ ქალიშვილთა ჯგუფი ტანკისტებს უამბობს გერმანელთა ოკუპაციის შავბნელ დღეებზე. გერმანელები მათ საგზაო სამუშაოზე მიერეკებოდნენ ჯერ კიდევ ამა წლის 18 თებერვალს. ისინი უამბობენ იმაზე, თუ რა მძიმე ცხოვრება ჰქონდათ ფაშისტთა ტყვეობაში: მუშაობდნენ განთიადიდან განთიადამდე, საკვებად გაუცხეტავი ფეტვი ჰქონდათ, დღეში 200 გრამ პურს აძლევდნენ. სულ შეიარე დანაშაულისათვის ჯოხით სცემდნენ.

თხუთმეტი წლის ალექსანდრე პეტუხოვმა გუატსკის რაიონის სოფელ შახმატოვოდან პერანგი აიწია. მთელი ზურგი აჭრელებული ჰქონდა არყის ხის ჯოხის ცემისაგან. მას ზედიზედ სამ დღეს სცემდნენ, ერთჯერად 25 ჯოხს ურტყამდნენ იმისათვის, რომ ერთხელ სამუშაოზე დაიგვიანა.

გზის ნაპირას ხშირად შეხვდებით ჰიტლერელთა გვამებს. აქ გუშინ ჩვენი მოიერიშე თვითმფრინავები „ილიუშინ-2“ მოქმედებდნენ. გინზე ჰყრია ვაზნები, ყუმბარები, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები. გერმანელებს ნაღმები მოუმზადებიათ, მაგრამ ჩაწყობა კი ვერ მოუსწრიათ. ელნიასთან მიახლოებისას სულ უფრო ხშირად გეხვდება გერმანელების მიერ მოტოვებული ზარბაზნები, მიწაში დაფლულ ქვეითი ჯარის ნაღმთა ხორები.

შარა გზა რკინიგზის პარალელურად გადის. ხიდები აფეთქებულია, რელსები ნაწილნაწილად ჭყრია, შპალები დამწვარია.

შევდიოვართ ელნიაში.

ქალაქში სულ 800 სახლი იყო, ახლა კი ბარტო ხის შენობები დარჩენილა განაპირა უბნებში.

ელნიას მცხოვრებმა ანა თეოდორეს-ასულმა ბაუმანოვამ გადმოგვცა გერმანელთა მხეცობის შეშარწუნებელი ფაქტები. ერთი პარტიზანი ჰიტლერელებმა ცოცხლად დაწვეს კოცონზე კომენდანტურის მახლობლად ვოსკრესენსკის ქუჩაზე. როსლავლისა, სპას-დემენსკისა და ვიაზმისაკენ მიმავალ შარა გზაზე აღმართული იყო სახრჩობელები. ადამიანებს ახრჩობდნენ ქალაქის ახლოს, აგურის ქარხანასთან, საავადმყოფოს წინ. ოცი წლის ტაია ბაუმანოვას თვენახევრის განმავლობაში ალპობდნენ საპატიმროში, ბევრჯერ სცემეს იმისათვის, რომ არ ისურვა გერმანელ უნტერ-ოფიცერთან ცხოვრება.

მარიამ ივანეს-ასული ტოკარევა გვიამბობს: ოთხი დღის წინათ გერმანელებმა 1926 წ-ს დაბადებული მოზარდები სმოლენსკის გზით 12 კილომეტრზე გაირეკეს ტანკსაწინააღმდეგო ორმოების სათხრელად. ქალაქის დანარჩენ მცხოვრებთა ევაკუირებას ჰიტლერელები 31 აგვისტოს დილით აპირებდნენ. მაგრამ არამზადებმა ვერ მოახერხეს განზრახვის შესრულება—დროზე მოუსწრო წითელმა არმიამ.

ქალაქის მცხოვრებნი უკვე გამოვიდნენ მიწურ ხვრელებიდან, სადაც ისინი მრავალი თვის განმავლობაში იმალებოდნენ. დანგრეულ ქუჩაში კვლავ გამოჩნდნენ ადამიანები, ისინი გარს ეხვევიან ჩვენს მებრძოლებს და ხარბად ესმენენ მათს უბრალო საუბარს საყვარელ სამშობლოზე, წითელი არმიის წარმატებებზე, ორიოლთან, ბელგოროდთან, ხარკოვთან გერმანელთა განადგურებაზე.

ვ. პუხოვი

ქალ. ელნია, 1 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორ.).

მოსკოვი, კრემლი

საბჭოთა კავშირის მარშალ
ამხანაგ სტალინს

ქალაქ ხარკოვის მშრომელთაგან

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

თავისუფალი საბჭოთა ხარკოვის მშრომელთა სახელით მოგესალმებით თქვენ გულწრფელი აღიარებულის გრძნობით. წითელმა არმიამ გაათავისუფლა ხარკოვი. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხები დიდი რუსი ხალხის მეთაურობით ათავისუფლებენ ჩვენს უკრაინას. 1943 წლის 23 აგვისტოდან უკრაინის მეორე დედაქალაქზე კვლავ ამაყად ფრიალებს ლენინ-სტალინის მზიური დროშა, დროშა გამარჯვებისა. იგი წითელი ფრინველივით მიფრინავს დასავლეთისაკენ. მას ელოდება მთელი უკრაინა. ელოდება კიევი და ლვოვი.

გმადლობთ თქვენ, ძვირფასო მარშალო, ჩვენი თავისუფლებისათვის, ბავშვების ბედნიერებისათვის, სიცოცხლისათვის! დამახინჯებული, სისხლისაგან დაცლილი, დანგრეული, დამწვარი ქალაქი ხარკოვი გიცხადებთ თქვენ, ძვირფასო მამავ, რომ იგი ცოცხალია. სიცოცხლის ნებისყოფა შთაბერა მას საბჭოთა ხელისუფლებამ, ბოლშევიკურმა პარტიამ. ჰიტლერულ ტყვეობაში ყოფნის მრავალი თვის მანძილზე ჩვენ არასოდეს არ დაგვიკარგავს ხათელი იმედი.

ჩვენ ვიბრძოდით, გვახსოვდა რა თქვენი ცეცხლოვანი სიტყვები: „უკრაინა საბჭოთა იყო და იქნება!“

გმადლობთ თქვენ, ძვირფასო მასწავლებელო!

დაე სთქვას ხალხმა, რარიგ ბედნიერად ვცხოვრობდით ჩვენ გერმანელ ბანდიტთა თავდასხმამდე. მშვიდად ჰყვაოდა ჩვენი გაერთიანებული უკრაინის საბჭოთა მიწა. კეკლუცობდნენ ბაღები და ყანები, იზრდებოდა ინდუსტრია, ჰყვაოდა მეცნიერება და ხელოვნება, იბადებოდნენ ბედნიერი და ჯანსაღი ბავშვები.

წყეული იყოს გერმანელი და მისი შთამომავლობა საშინელი ნგრევა-აოხრებისათვის! დაე თავს დაატყდეს ჩვენი და ჩვენი ბავშვების სიძულვილი უგუნურ ფაშისტს! სიკვდილი სულძაღლი—გერმანელ ოკუპანტებს!

სიმწარისა და ტკივილის გრძნობას იწვევს გახსენება მთელი გადატანილი მწუხარებისა და დამცირებისა, რაც ხარკოველებმა განიცადეს. ხეიბრობა და სიკვდილი, სიკვდილი და ხეიბრობა—აი რა მოგვიტანეს ჩვენ გერმანელებმა!

არსად დედამიწის ზურგზე არ არიან ისეთი მხეცები, ისეთი ველურები, ისეთი ქვეწარმავალნი, რომლებსაც არ გადააჭარბონ კაციჭამია გერმანელებმა!

ჩვენი და ჩვენი ბავშვების მწუხარაა. მწუხარება ყველა საბჭოთა ოჯახისა, რომელიც დროებით მოჰყვა გერმანელთა ქუსლქვეშ, შურისძიებისაკენ მოგვიწოდებს! უკრაინელ ადამიანთა გვამები თავიანთი საშინელი საფლავებიდან მოგვიწოდებენ შურისგებისაკენ! დაე მომავალმა საერთაშორისო სასამართლომ წაუყენოს გერმანიას ჩვენი ანგარიშიც მშვენიერი ხარკოვის დანგრევისათვის!

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ! სტალინური კონსტიტუციის მზით გაბრწყინებული, თავისუფალთა შორის თავისუფალი, თანასწორთა შორის თანასწორი, ბედნიერთა შორის ბედნიერი ჩვენი უკრაინა—განუყოფელი შემადგენელი ნაწილი დიდი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა, იზრდებოდა და მდიდრდებოდა, ჰქმნიდა მშვიდობიანობისა და შეძლებულობის მაღალ კულტურას.

ჩვენ გვწამს, რომ თქვენი ბრძნული წინამძღოლობით დაბრუნდება ომამდელი ბედნიერი დრო. ჩვენი ბედნიერება ზღვასავით ღრმა, ჩვენი ზაპოროჟიეს ველებივით ფართო, ციურ მზესავით მაღალი იქნება.

მშობლიურო ჩვენო მამავ!

ვოცნებობთ რა მომავალ ბედნიერებაზე, ჩვენ არ გვავიწყდება ომიც. მტერი კვლავ სვამს ჩვენი ადამიანების სისხლს. ჩვენ არ დავიშურებთ ქვეყნად არაფერს და ვიმუშავებთ მტრის ოსწრაფესი განადგურებისათვის.

დამთავრდა კოშმარული ღამე გერმანული მონობისა, რაც ქალაქს აწვა თავს. დადგა სასიხარულო საბჭოთა დღე. ჩვენ ყველანი მუშაობას ვიწყებთ. ჩვენი მიზანია გამარჯვება! ჩვენი დევიზია სტალინი!

გაუმარჯოს წითელ არმიას—ჩვენს ძალასა და სიყვარულს, ჩვენს სიამაყესა და დიდებას, ჩვენს განმათავისუფლებელს!

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს მოძმე ხალხებს!

დაე იზრდებოდეს და ჰყვაოდეს დიდი უკრაინელი ხალხი!

გაუმარჯოს გამარჯვებას!

დიდს მარშალს ამხანაგ სტალინს—გამარჯვებათა მამას—საყოველთაო სახალხო დიდებას!

(მიღებულია 30 აგვისტოს ქალაქ ხარკოვის მშრომელთა საერთო-საქალაქო მიტინგზე, რომელსაც 25.000-ზე მეტი კაცი დაესწრო).

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲛᲔᲝᲛᲐᲠ-ᲒᲐᲜᲛᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲚᲔᲑᲡ

გვარდიის ბელგოროდ-ხარკოვის 89-ე მსროლელი დივიზიის;
ხარკოვის 252-ე მსროლელი დივიზიის;
ხარკოვის 84-ე მსროლელი დივიზიის;
ხარკოვის 299-ე მსროლელი დივიზიის;
ხარკოვის 116-ე მსროლელი დივიზიის;
ხარკოვის 375-ე მსროლელი დივიზიის;
ხარკოვის 183-ე მსროლელი დივიზიის;
გვარდიის ხარკოვის 80-15 მსროლელი დივიზიის;
გვარდიის ხარკოვის 28-ე მსროლელი დივიზიის;
გვარდიის ხარკოვის 93-ე მსროლელი დივიზიის.
მებრძოლებს, ოფიცრებსა და გენერლებს.

თქვენმა სისხლმა განანათლა ჩვენი მშობლიური ხარკოვის მიწა-წყალი. თქვენმა თავდადებულმა გმირობამ დაგვიბრუნა ჩვენ თავისუფლება, სიცოცხლე და ღირსება.

დიდება თქვენ, საბჭოთა მიწა-წყლის არწივებს.

დიდება თქვენ, ჩვენო განმათავისუფლებლებო და დამცველებო!

თქვენი გული აღსავსეა მშობლიური ხალხის სიყვარულითა და მტრის სიძულვილით. თქვენს ხელთაა მრისხანე და მძლავრი იარაღი. გამარჯვების მზე აციაგებს თქვენი ხიშტების ფოლადს, თქვენი ქვემეხების ლულებს, თქვენი ტანკების ჯავშანს, თქვენი თვითმფრინავების ფრთებს. უკრაინის მეორე დედაქალაქის—ჩვენი ხარკოვის განთავისუფლება ნათელი და დიდი გამარჯვებაა იმ გამარჯვებათა გვირგვინში, რაც 1943 წლის ზაფხულმა საბჭოთა მეომრების იარაღს არგუნა. ბელგოროდის კედლებთან, დონეცის ციცაბო ნაპირებზე, სუმშჩინის მინდვრებში, ხარკოვის ტყეებში თქვენნი იარაღისაგან დაღუპა ასეული ათასობით გერმანელი ჯალათი, 2.000-ზე მეტი ტანკი, გერმანელთა 3 ათასამდე თვითმფრინავი.

თქვენ კარგად უსწორებთ შურისგების ანგარიშს გერმანელ ჯალათებს. დაე მათ თავიანთი შავი სისხლის მდინარეებით ზღონ მათ მიერ ნაწამები საბჭოთა ადამიანების სისხლი. ჩვენი ქალაქის ნანგრევები, ჩვენი გადაუბუღული სოფლები.

კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ჰიტლერელებზე უფრო სასტიკი ჯალათები. იმათ დასწვეს ჩვენი მშვენიერი ქალაქი, იმათ გაძარცვეს იგი, გაიტანეს თავიანთ გერმანიაში ყველაფერი, რაც შეეძლოთ: საქარხნო მოწყობილობა და ტრამვაის კაბელები, ავეჯი ბინებიდან, ფასეულობანი მუზეუმებიდან და ჩვენი ბავშვების სათამაშოები.

მათ ათასობით ხარკოველი აწამეს, დახვრიტეს, ჩამოახრჩეს, დაალპეს გესტაპოს ჯურღმულებში. ისინი იჭერდნენ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, ქალებსა და კაცებს, აშორებდნენ მათ მშობლიურ ადგილებს და მიერეკებოდნენ გერმანიაში კატორღულ სამუშაოზე. ისინი აბუჩად იგდებდნენ მათ ყოველ ნაბიჯზე, ისე ეჭირათ მათთან თავი, როგორც თავიანთ მონებთან.

ბოლშევიკების პარტიის წინამძღოლობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით,

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

1 სექტემბრის ოპერაციული ცნობა

სამხრეთის ფრონტის ჯარებმა 1 სექტემბერს დილისათვის დაამთავრეს გერმანელთა ტაგანროგის ჯგუფის გარშემორტყმული ნაწილების ლიკვიდაცია. ჩვენი ჯარების შეტევისა და მოწინააღმდეგის ტაგანროგის ჯგუფის ლიკვიდაციის შედეგად განადგურებულია გერმანელთა მე-17, 111-ე, 294-ე ქვეითი და მე-15 ავიასაველე დივიზიები. მძიმე დამარცხება მივაყენეთ მოწინააღმდეგის 34-ე, 306-ე, 336-ე ქვეითს და მე-13 სატანკო დივიზიებს.

ჩვენი ჯარების მიერ ბრძოლაში **მოსკოვი:** მოწინააღმდეგის 212 თვითმფრინავი, 537 ტანკი, ყველა ყალიბის 494 ქვემეხი, 1.500 ტყვიამფრქვევი, 3.600 ავტომანქანა, 10 საწყობი საწვავიანად, 29 საწყობი საომარ მასალებიანად.

მოწინააღმდეგემ მარტო მოკლულთა სახით დაჰკარგა 35.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

არასრული ცნობებით, ჩვენმა ჯარებმა **ხელთ იგდეს** შემდეგი ტროფეები: 95 ტანკი, სხვადასხვა ყალიბის 198 ქვემეხი, 217 ნაღმსატყორცნი, 409 ტყვიამფრქვევი, 594 ავტომანქანა, 22 საწყობი საომარ მასალებიანად.

ტყვედ წამოყვანილია 5.100 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

განაგრძობდნენ რა შეტევას, სამხრეთის ფრონტის ჯარებმა 1 სექტემბრის განმავლობაში წინ წაიწიეს 6-დან 10 კილომეტრამდე, დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დონბასში დაიკავეს ქალაქი **კრასნი ლუჩი**, ქალაქი **სნეჟნოე**, აგრეთვე სადგური **ზტროკა**.

უდიდესმა ზარალმა, რაც გერმანელებს მოუგიდათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ ტაგანროგის რაიონში, აიძულა ისინი სასწრაფოდ გადმოეყვანათ სამხრეთში ახალი რეზერვები. ჩვენი ავიაცია განუწყვეტელივ ურტყამს ფრონტის ხაზისაკენ მომავალ მოწინააღმდეგის ამ ჯარებს. დღის განმავლობაში დაბომბვის შედეგად დამტვრეულია გერმანელთა რამდენიმე სარკინიგზო ეშელონი, მოსპობილია 100-ზე მეტი ავტომანქანა მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისაგან. ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 25 თვითმფრინავი.

* * *

სამხრეთის ფრონტის ჯარებმა დაამთავრეს გერმანელთა ტაგანროგის ჯგუფის გარშემორტყმული ლიკვიდაცია და განაგრძობდნენ შეტევას. 1 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი დონროგობუჟი, მოწინააღმდეგე თავს უყრის რეზერვებს და მარშიდანვე გადმოჰყავს ისინი კონტრიერიშებზე. ერთ უბანზე გერმანელთა ქვეითი პოლკი რამდენიმე ათეული ტანკის დახმარებით შეეცადა კონტრიერიში მოეტანა ჩვენი შემტევი ნაწილების წინააღმდეგ. მოხდნენ რა საბჭოთა არტილერიის გამანადგურებელ ცეცხლქვეშ, გერმანელებმა სასწრაფოდ დაიხიეს უკან. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის ასეულობით გვამი და მოწინააღმდეგის 30 დაზიანებული ტანკი.

ელნიას დასავლეთითა და სამხრეთით ჩვენი ჯარები სძლევდნენ გერმანელთა წინააღმდეგობას და წინ მიიწევდნენ. ბრძოლების ერთი დღის განმავლობაში მოწინააღმდეგემ მოკლულთა სახით დაჰკარგა 3.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. მოსპობილია მოწინააღმდეგის 48 ქვემეხი, 250 ავტომანქანა და საზიდარი ტვირთებიანად. გერმანელებს წამართვეს 6 ტანკი, 23 ქვემეხი, 110 ტყვიამფრქვევი, ბევრი ავტომატი და შაშხანა.

საჰაერო ბრძოლებში ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 41 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ჯარები, რომლებიც ბრიანსკის სამხრეთით უტევენ, ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და გერმანელ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი.

სევსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით 5 შენაერთის ნაწილებმა გასტეხეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის საღგური კომარიჩი. სევსკის დასავლეთით ჩვენმა მებრძოლებმა მოიგერიეს მტრის რამდენიმე კონტრიერიში. მოჰქონდეს რა გერმანელები, საბჭოთა ნაწილებმა სწრაფი დარტყმით უკუაქციეს მოწინააღმდეგე და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. დაიკავეს რა ქალაქები გლუხოვი და რილსკი, 6. შენაერთის ნაწილები განაგრძობდნენ წარმატებით შეტევას. დღის განმავლობაში მოსპობილია 2.400 ჰიტლერელი, გერმანელთა 9 ტანკი, 3 თვითმავალი ქვემეხი. მოწინააღმდეგეს წავართვეთ 49 ქვემეხი, 24 ნაღმსატყორცნი, 142 ტყვიამფრქვევი, 10 რადიოსადგური და 14 სხვადასხვა საწყობი. ტყვედ წამოყვანილია გერმანელთა 779 ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

სამხრეთის ფრონტის ჯარებმა დაამთავრეს გერმანელთა ტაგანროგის ჯგუფის გარშემორტყმული ლიკვიდაცია და განაგრძობდნენ შეტევას. 1 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი დონროგობუჟი, მოწინააღმდეგე თავს უყრის **რეზერვებს** და **მარშიდანვე** ჯდომოჰყავს ისინი **კონტრიერიშებზე**. ერთ უბანზე გერმანელთა ქვეითი პოლკი რამდენიმე ათეული ტანკის დახმარებით შეეცადა კონტრიერიში მოეტანა. ჩვენი შემტევი ნაწილების წინააღმდეგ. მოხდნენ რა საბჭოთა არტილერიის გამანადგურებელ ცეცხლქვეშ, გერმანელებმა სასწრაფოდ დაიხიეს უკან. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 800-ზე მეტი გვამი.

ზარკოვის სამხრეთ-დასავლეთით 5 შენაერთის ნაწილებმა დაიკავეს მოწინააღმდეგის რამდენიმე ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი. მოსპობილია გერმანელთა 300 ჯარისკაცი და ოფიცერი.

უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში საბჭოთა მებრძოლები თავდადებულ სამამაცეს იჩენენ. მეავტომატე კლოჩკინი მიეპარა მტრის საცეცხლე წერტს, მოსპო 2 გერმანელი მეტყვიამფრქვევე, მესამე კი ტყვედ წამოიყვანა და ნადავლი ტყვიამფრქვევითურთ მოიყვანა თავის ნაწილში. ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხთა ოცეულის მეთაურმა გვარდიის ლეიტენანტმა დიმიტრიმ ღია პოზიციიდან დაშენით მოწინააღმდეგის 3 ტანკი დაიხიანა. გვარდიის წითელარმიელი ტიტაენი მალულად მიხოხდა გერმანელთა სანგრთან, დაუშინა მას გრანატები და მოსპო 20 ჰიტლერელი. წითელარმიელმა ტიუშინმა ტანკსაწინააღმდეგო თოფით ჩამოაგდო გერმანელთა თვითმფრინავი.

* * *

შავი ზღვის ფლოტის ავიაციამ ჩასძირა მოწინააღმდეგის ორი სწრაფმავალი სადესანტო კარჭაპი, მოტორიანი ორანძა ნავი და ხეგუშაგო კატერი.

* * *

მინსკის ელეზნიაკის სახელობის პარტიზანულმა რაზმმა მოახდინა ახალი თავდასხმა გერმანელთა გარნიზონზე, რომელიც დასახლებულ პუნქტში იყო დაბინავებული. გაფორებულ ბრძოლაში პარტიზანებმა მოსპეს მტრის 90 ჯარისკაცი და ოფიცერი, ტყვედ წაიყვანეს 48 გერმანელი ჯარისკაცი და 3 ოფიცერი, ხელთ იგდეს დაფა, მათ შორის ქვემეხი, 2 ნაღმსატყორცნი, 7 ტყვიამფრქვევი, 113 ავტომატი და შაშხანა, 10 საზიდარი საომარ მასალიანად და რადიოსადგური.

* * *

გერმანიის შორ მზვერავთა 121-ე რაზმის ტყვე მფრინავმა-მეთვალთვალემ ლეიტენანტმა ლოტარ გუბერმა განაცხადა: „მფრინავებმა ქვეითებზე უკეთესად იციან ფრონტზე არსებული მდგომარეობა. გაფრენის წინ ჩვენ ყოველდღე გვიხდებოდა რუკაზე ფრონტის ხაზის გაკვლება. ჩვენ ვხედავდით გერმანელთა ნაწილების სასწრაფოდ უკანდახევას. ყველას ესმის, რომ ახლა უკვე აღარ შეიძლება ლაპარაკი რუსეთში გერმანელთა ჯარების ცალკეული მარცხის შესახებ. არავინ არ იცის, სად გავჩერდებით ჩვენ, რადგან ინიციატივა რუსების ხელშია. ოფიცრები ერთმანეთს ელაპარაკებიან: „ბედის მადლიერი უნდა ვიყოთ, რომ მან არასასიამოვნო სიურპრიზი გაგვიმზადა მხოლოდ აღმოსავლეთში, რა იქნებოდა, რომ ახლა, გერმანის არმიისათვის ასეთ კრიტიკულ მომენტში, მოქმედება დაწყებულიყო დასავლეთში“. ყველა ფიქრობს, რომ მაშინ კატასტროფა ძალიან სწრაფად მოახლოვდებოდა“.

გეგმის შესრულება

ორჯონიკიძის რაიონმა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა 102,1 პროცენტით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 19.400 კილოგრამის ნაცვლად დამზადებულია 19.810 კილოგრამი პარკი.

აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი **ზ. კიკნაძე**
რაიაღმასკომის თავმჯდომარე **ბ. ღამბაშიძე**

დიპეშები

ჩერჩილის გამოსვლა რადიოთი კვებეკში

ლონდონი, 31 აგვისტო. რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ჩერჩილის გამოსვლას რადიოთი კვებეკში.

თავისი სიტყვის დასაწყისში ჩერჩილმა კმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ პრეზიდენტმა რუზველტმა შეხვედრის ადგილად წამოაყენა კვებეკი—საფრანგეთის კანადის დედაქალაქი და ცენტრი, სადაც მიზანშეწონილია გავიხსენოთ ფრანგი ხალხი, მისი მწუხარება, მივიღოთ ახალი ღონისძიებანი მისი განთავისუფლებისათვის და გადავცეთ მას სალამი ოკეანის გაღმა.

ჩერჩილმა განაცხადა, რომ ინგლის-საფრანგეთის 1904 წლის შეთანხმების შემდეგ, იგი ყოველთვის ფრანგებთან ერთად მოქმედებდა. მან გამოსთქვა რწმენა, რომ საფრანგეთი კვლავ აღსდგება, როგორც თავისუფალი, ერთიანი და დამოუკიდებელი ქვეყანა.

ჩერჩილმა აღნიშნა, რომ ამ უძნელეს ჟამს კანადამ დიდი წვლილი შეიტანა ერთა ბრიტანეთის თანამეგობრობისა და იმპერიის გაერთიანებულ ღონისძიებებში.

ამ ომის მიმდინარეობაში,—თქვა ჩერჩილმა,—კანადა გახდა დიდმნიშვნელოვანი საზღვაო ქვეყანა, რომელიც მრავალ სამხედრო და სავაჭრო ხომალდს აგებს, ამ ხომალდთაგან ზოგიერთი შენდება ათასობით კილომეტრზე ქვეყნის შიგნით, და კანადა ამ ხომალდებს მტკიცე ბეზღვაურთა კომანდებით გზავნის ატლანტიკაში, რათა დაიცვას ქარავანები და ჩვენი სასიცოცხლო სავაჭრო გზა ოკეანეზე. კანადის საომარი საჭურველის მრეწველობა უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენს სამხედრო ეკონომიკაში და, დასასრულ, უეჭველია, ოდნავაც ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, რომ კანადამ მოსწსნა ინგლისს ის, რაც წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლებოდა ვალად ამ საომარი საჭურველისათვის—სულ მცირე ორი მილიარდი დოლარის ოდენობით.

მე—განაგრძო ჩერჩილმა,—მოვიხსენიე შეთანხმება, რომელიც ინგლისმა თითქმის 40 წლის წინათ დასდო საფრანგეთთან. ჩვენ დღემდე ვიცავდით ამ შეთანხმებას და განუხრელი ერთგულებით დავიცავთ მას.

არსებობს მეორე დიდი ქვეყანა, რომელთანაც ჩვენ საზეიმო ხელშეკრულება დავდეთ. ჩვენ საბჭოთა რუსეთთან დავდეთ კეთილი ნების ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ 20 წლის ვადით.

შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ იმაში, რომ ჩვენ, ინგლისელები, აღსავსე ვართ გადაწყვეტილებით — გავაკეთოთ ყველაფერი, რაც კი ჩვენზეა დამოკიდებული, რათა მთელი ჩვენი ძალ-ღონითა და ნაციონალური სიმტკიცით შევასრულოთ ეს ხელშეკრულება.

რუსეთისათვის უხერხული იქნებოდა ჰყოლოდა თავისი წარმომადგენელი ინგლის-ამერიკის ამ თათბირზე, რომელიც, გარდა მომავალი ოპერაციების განხილვისა, რომლებიც მჭიდროდ დაკავშირებული და გადაბმულია ერთმანეთზე, ასევე ეხება ინგლის-ამერიკის ურთიერთობებს, ინგლის-ამერიკის ერთიანობას, ინგლის-ამერიკის ერთიანობას ევროპაში, ინგლის-ამერიკის ერთიანობას ინდოეთში, ინგლის-ამერიკის ერთიანობას ინდოეთ-ჩინეთში, ინგლის-ამერიკის ერთიანობას ინდოეთ-ჩინეთ-ამერიკაში, ინგლის-ამერიკის ერთიანობას ინდოეთ-ჩინეთ-ამერიკა-ავსტრალიაში, ინგლის-ამერიკის ერთიანობას ინდოეთ-ჩინეთ-ამერიკა-ავსტრალია-ახალ ზელანდიაში, ინგლის-ამერიკის ერთიანობას ინდოეთ-ჩინეთ-ამერიკა-ავსტრალია-ახალ ზელანდია-ინგლის-ამერიკის ერთიანობა